**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1889


გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გუშინ დილით, 29 დეკემბერს გარდაიცვალა კნეინა სალომე ქაიხოსრო წერეთლის ასული ანდრონიკაშვილისა. პანაშვიდი დანიშნულია 30 და 31 დეკემბერს დილაობით 12-ს საათზედა და საღამოობით 7 საათზედ. დღე მიცვალებულის განსვენებისა ეკკლესიაში სახლიდამ (კუკია, ახალ-არსენალის ქუჩა, № 7) ცალკე იქმნება გამოცხადებული.

1—1

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ОТКРЫТА ПОДПИСКА

**НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ**

# „КАВКАЗЪ“

Въ 1890 году газета „Кавказъ“ будетъ выходить подъ прежнею редакціею и по прежней программѣ, ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

| Съ доставкою въ Тифлисѣ. | Съ пересылкою: По Имперіи | Съ пересылкою: По почтовому союзу. |
|---|---|---|
| На годъ . . . . 11 р. 50 к. | На годъ . . . 13 р. — к. | На годъ . . . . 18 р. 40 к. |
| „ ½ года . . 6 „ — „ | „ ½ . . . . 7 „ — „ | „ ½ года . . 10 „ — |
| „ 3 мѣсяца . 3 „ 50 „ | „ 3 мѣсяца . 4 „ — „ | „ 3 мѣсяца . . 6 „ — |
| „ 1 мѣсяцъ . 1 „ 50 „ | „ 1 мѣсяцъ . 1 „ 75 „ | „ 1 мѣсяцъ . . 2 „ — |

Подписка принимается **исключительно въ конторѣ редакціи, Тифлисъ**, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова.

Для иногороднихъ адресовать: **Тифлисъ**, въ редакцію газеты „Кавказъ“.



**ქართული თეატრი**

სამშაბათს, 2 იანვარს,

ბენეფისი

ს. პ. სვიმონიძისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

**შეშლილი**

დრამა 2 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებს კ. ს. მესხი

II

**დროებითი სიყვარული**

კომედ. 2 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, აბაშიძე, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი მესხი, აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე


ტფილისი, 29 დეკემბერი

ევროპაში, როგორც მოეხსენება მკითხველს, ახალი წელიწადი თორმეტის დღის წინად მოდის, ვიდრე ჩვენში. ჩვეულებად მიღებულია დიპლომატიკაში, რომ ამ დღეს მისალოცავად მივლენ ხოლმე გვირგვინოსნებთან და სახელმწიფოს უფროს გამგებელთან, ვსთქვათ, რესპუბლიკის პრეზიდენტთან, სადაც რესპუბლიკაა. ამასვე სჩადიან სახელმწიფოს საქმის უფროსნი კაცნი, მინისტრები და სხვა ხარისხოვანნი. ამასთანავე ჩვეულებადვეა მიღებული მიმლოცველთა შესაფერი სიტყვა მოახსენონ მილოცვილსა რომელმაც თავისის მხრით პასუხი უნდა უთხრას. ძნელად გადურჩებიან ხოლმე, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკას არ შეეხოს ან ერთი, ან მეორე მხარე. ამიტომაც ევროპიელნი დიდის ნდომით ყურს ადევნებენ, — ვინ, სად, ვინ რას იტყვისო და რა ფერს დასდებს დღევანდელის დღის მდგომარეობასაო.

იტალიის მეფეს ჰუმბერტს ამ მილოცვის ჟამს უთქვამს, რომ მე დიდად მოხარული ვარ, რომ დღევანდელი მდგომარეობა პოლიტიკისა საბუთს მაძლევს ნუგეშის თვალით შევხედო ახალის წლის მოსვლასაო. ამ ახალის წლის ნიშნები უფრო საიმედონი არიან მშვიდობიანობისათვისა, ვიდრე წინა წლები იყვნენო. ამ სახით მეფე ჰუმბერტის სიტყვა იმედს იძლევა, რომ 1890 წელიწადი კარგს ვარსკვლავზე დაიბადა და ამიტომაც შიში არეულობისა და ომისა ჯერ ხანად მაინც უსაფუძვლოა.

უფრო გულ-მხურვალე მილოცვა და სიტყვა-პასუხი გამოცხადდა, როცა საფრანგეთის პრეზიდენტმა კარნომ მიიღო მისალოცავად დიპლომატები, ესე იგი, ელჩები, სხვა-და-სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელნი. ჩვეულებად მიღებულია, რომ ამ შემთხვევაში პაპის წარმომადგენელს, რომელსაც ნუნციოზით იხსენიებენ და არა ელჩობით, სხვა დიპლომატები მიანდობენ ხოლმე ყველას მაგიერ მისალოცველი სიტყვა წარმოსთქვას. პაპის ნუნციმ, წარუძღვინა რა დიპლომატები პრეზიდენტის წინაშე, სთქვა:

„ჩვენ ვისწრაფით ჩვენის ხელმწიფეების და გამგებელთა სახელით გამოვაცხადოთ ღრმა გრძნობა პატივისცემისა თქვენდა მომართ. ჩვენის მხრითაც გისურვებთ ბედნიერებას თქვენთვის და კეთილდღეობას საფრანგეთის ერისათვის. ჩვენ ვლოცავთ ვნატრულობთ, რომ ღვთის განგებამ დღენდელებრ დაიფაროს და დაიცვას თქვენი პატიოსანი და კეთილშობილი მამული, რათა საფრანგეთის ერმა, თვის დაუსრულებელ გენიოსობით, ჩაუმატოს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიას ახალი ფურცელნი ამ ახლად დაწყებულს წელიწადშიაც.“

პრეზიდენტმა კარნომ უპასუხა: მადლობელი ვარ თქვენი თქვენის გრძნობის გამოთქმისათვის იმისთანა სიტყვით, რომელიც ღრმად ჩასარჩენია გულში. მადლობელი ვარ, რომ გსურთ დიდება საფრანგეთის ერისა, კეთილდღეობა რესპუბლიკისა და მისის პრეზიდენტისა. მე მით უფრო ვარ ბედნიერ, რომ შემდეგ წარსულის წლისა, რომელმაც დაგვანახვა ერთად თავ-მოყრილად ამოდენა სასწაულნი, მე მესმის დღეს ხმა პატივისცემისა საფრანგეთის მშვიდობის-მოყვარე გენიოსობის მომართ. აწ დაწყებულ წელს ჩვენ განვაგრძობთ შეერთებულის ღონით დიდს საქმეს მშვიდობიანობისას და პროგრესისას და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეს ჩვენ შევასრულებთ თქვენის განათლებულის შემწეობით და ნებითა იმ სახელმწიფოთა და ერთა, რომელთაც ჰყავთ თქვენისთანა ღირსეულნი წარმომადგენელნი.

იმპერატორს ვილჰელმს თითქმის არა უთქვამს-რა იმისთანა შესანიშნავი, როცა საახალწლოდ მისალოცავად წარუდგნენ. ხოლო ყურადღება მიიქცია მისმა დეპეშ მ. თ. ბისმარკთან მისალოცავად გა-

# ფელეტონი

## ფშავლების თარეში ქმოსტზე*)

(ხევსური ლექსი)

ჯორო ხიზანას ცხვერ-თეთრო,
პატრონ გყავ ილეთიანი;
ლაშარს შაგიყრის ფშავლებსა
„ქმოსტი ძე საქონიანი!“
— ქმოსტი არ გაიტეხება,
განა კოკაა წყლიანი!..
ფშავლებო, ოხერ ხევის გორს
მწარე დღე გადგათ მზიანი:
მოგდევდათ კოკლუცაური,
მოგდევდათ მშვილდი რქიანი.
საკაცით წაგალებინესთ
ბეკურა ფარ-შუბიანი;
დაგიკრეს დედის ერთასა,
გიჭმიესთ მიწა მტვრიანი…
ხმალიც ბევრია კიდევ ფშავს,
ფრანგული ფხა სისხლიანი;
თოფიც ბევრია კიდე ფშავს,
სიათა პირ-კომლიანი;
ვაჟებიც კიდევ არიან,
ჯავრისგან გულ-ღონღიანნი!!. **)

*) ქმოსტი სოფელია ხევსურეთში,

**) ეს ლექსი ქმოსტში რომ იმღერონ, ხევსურები მაშინვე ხმლებს დაიწვდიან და დაუჭრელი არ გადარჩებით.

## წლიური ანგარიში პროვინციელისა

(გურია)

მიმდინარე წელიწადი სულთ-მობრძაობს, ილევა და დღესა თუ ხვალ „გაუშვებს“ ფეხს და „ბგიალს“ მოადენს საუკუნეთა ამოვსებულსა და გაუმაძღარს უფსკრულში. დიახ, ჰბარდება პატრონს ეს წელიწადი, მაგრამ ერთი ესა ვსთქვათ: რაში გვეკითხება წლის ან დაწყება და ან გათავება. ვუკვირდებით და ვუფიქრდებით ამა-თუ-იმ წელიწადმა დროსა თვისის მეფობისასა რა მოგვაკლო (გარდა სიცოცხლისა) და რა შეგვძინა (გარდა შვოთისა და ამბოხისა)? თუ ყოველივე ეს „ფეხებზე გვკიდია“, როგორც იტყვიან ჩვენში, და ჩვენი ავ-კარგი მხოლოდ ღვთის ანაბრობასა და ალალ-ბედობაზე გვაქვს მიგდებული და მარტო ნატვრით-ღა ვცხოვრობთ, ოცნებით-ღა ვიკვებებით? სამწუხაროდ, ამის წინააღმდეგს ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იტყვის. ვერ იტყვის, რომ ვინმე ანგარიშს იძლეოდეს წარსულისას და ანგარიშს აწყობდეს მომავლისას. ამას ჩვენში ვაჭრები თუ სჩადიან, ხოლო სხვები რად შეიტკიებენ თავს იმისათვის, რომ დღევანდელს დღეს გუშინ მოფიქრებულის ანგარიშით გაუძლვენენ და სახვალიოდაც დღეს მოაზრებული რამ წინ წაიმძღვარონ. მეც რა მომაფიქრებინებდა წლიურ ანგარიშის წერას, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ ქსატის კაცის ამბავი, ვაჭრებმა წარმომიდგინეს დავთრებიდამ ამონაწერი ანგარიში ნისიად ნახარჯისა, რომლის გადახდას თურმე წლის ბოლოს შეპირებივარ. ერთი კაცმა მკითხოს, ეს წელიწადი თავის აღსასრულის დღეს მიანდერძებდა რასმე, თუ რა არა! ვაჭრები მეუბნებიან, შენ იცი და შენმა პირისწყალმაო. ვეუბნები, ეგ პირის-წყალის საქმე-კი არ არის, ღიბის წყალის საქმეა-მეთქი, ცოტა კიდევ მაცალეთ… მაგრამ შენც არ მომიკვდე! სად გაიზარდე ამოდენა კაცი, თუ ესეც არ იცი, რომ წლს ბოლოს ანგარიშის გასწორება უხდაო. მეტი რა ღონეა, პილატეს ცრემლითა და იუდის სინანულით ვუსწორებ ანგარიშს. ვუსწორებ და ვფიქრობ: თუ-კი ნისიის ანგარიშს წლის დამლევს გასწორება უნდა, თუ-კი ვალებს (გარდა ჩვენის ბანკების ვალებისა) გადახდა უნდა, ნახულისა და გაგონილის, ნაფიქრისა და ნაზრის ანგარიშმა რაღა დააშავა?! ანა ეს-კი ვალი და თანანადები არ არის? ვგონებ, რომ არის და კიდეც ვეცდები შეძლებისამებრ ამ არა-მკიხე მოამბეობის ვალს ანგარიში მიცე მკითხველთა წინაშე. ხოლო ნუას უკაცრავად, თუ ეს ანგარიში ცოტა არეულ-დარეული, ანგრეულ-დანგრეული და უსისტემო იქნება. „როგორიც ალაგი, ისეთი ალაბიო“, ნათქვამია.

### I

### ნახული და გაგონილი

მართალია, ჩვენში წელს არავითარი გადამდები და არც სხვა ავადმყოფობა არა ყოფილა და არც ეხლა არის, და, ასე გასინჯეთ, არა თუ ადამიანთ სნეულება, არამედ თვით საქონლის ჭირიც გულ-ჩვილად მოგვეპყრა და ისე მიყურდა, რომ საიმისო ზარალი არაფერი უქმნია, მაგრამ იმავე დროს თითონ ადამიანნი, თითონ კაცები კაცთა სნეულებაზე უფრო გულ-ბიწნი და დაუნდობელნი გამოდგნენ და ერთი-ორად უფრო გულ-ქვა და შეუბრალებელი, ვიდრე თითონ საქონლის ჭირი, რომელსაც ჩვენში ხელ-შემშლელი არავინა ჰყავდა, რომ თავის ქმნა. აბა რა ჰგონიათ, ტყუილად ხომ არ უთქვამთ, კაცი კაცისთვის მგელიაო (homo homini lupus). რასაკვირველია, ტყუილად არ უთქვამთ, მაგრამ მე-კი, ჩემდა თავად, მაინც მეგონა, რომ იმ დროდამ, როცა ეს კაცთა ურთიერთობის სამარცხვინო და აღღერძის ამგები აზრი გამოითქვა, აქამომდე დიდმა ხანმა გაიარა, დიდი ცვლილება მოხდა, შესამჩნევად განვითარდა საზოგადოდ ქვეყანა და კერძოდ ერი-მეთქი. მეგონა, რომ წინ წაიწია ადამიანობამ, მოძმეთა სიყვარულმა-მეთქი. ვფიქრობდი, რომ ერთმანეთის სისხლის სმა, ერთმანეთის წიოკობა, ყელის გამოჭრა ჩაილულის წყალს მიეცა-მეთქი. ვფიქრობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებამ მაინც ვერ დაჰფარა თავისი ცბიერი სახე, ვერ მიჩქმალა თავისი ოინები…

უნდა სიმართლე მოგახსენოთ და ჩვენსავით სიხარულით ვერავინ ვერ მიეგებება ახალ-წელიწადს, თუ-კი ღმერთმა იპრიანა და იმისი გათენება გვაღირსა; ვერ მიეგებება, იმიტომ-რომ ყოველივე სიავე ამ უკულმართისა და უგემურის მიმდინარე წლისო ბრალი გვგონია. ეს მოსაზრება ისეთი უეჭველი საქმე გვგონია, რომ დიდი და პატარა ეხლა ამას-ღა თუ იმეორებს: „ოღონდ ამ უკულმართს, დავიდარაბიანსა და კვიმატს ვარსკლავზე დაბადებულს წელიწადს გადავრჩე და მერე, მადლობა ღმერთს, რაც მომივა, აღარ ვჩივიო“.

რამოდენად საფუძვლიანია ეს ჩვენი გულის წყრომა მიმდინარე წლის შესახებ, ამას თქვენ თითონ მიხვდით. ხოლო რომ ეს წელიწადი მართლა უცნაური და უცნაურ საქმეთა მომავლინებელი გამოდგა, ამაში ეჭვი არ არის.

მარტო წელს მომხდარის კაცის-კვლისა და ცარცვა-გლეჯის რიცხვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზავნილმა. ამ დეპეშაში იმპერატორი ვილჰელმი სხვათა შორის სახელად და საქებარად უთვლის თავის ერთგულს კანცლერს, რომ შენის მეოხებით დაცული იქმნა ევროპაში მშვიდობიანობაო. სჩანს, ამ ფხიზელსა და ყოველთვის მოძრავს იმპერატორსაც სურვილი აქვს, რომ ევროპას არა შეემთხვას-რა, რასაც ეგრე ერიდებიან ყველანი, თუ გულით არა, სიტყვით მაინც.

ჯერ გაზეთებმა მარტო ამ სამის სახელმწიფოს გულის ნადები გვაცნობეს. უნდა, ჯერ ხანად მაინც, დავიჯეროთ, რომ რაცა სთქვეს იმპერატორმა ვილჰელმმა, მეფემ ჰუმბერტმა და პრეზიდენტმა კარნომ, გულით ნათქვამია. მაგრამ საკვირველი-კია: თუ არსაიდამ შიში არ არის, რა საბუთი და მიზეზია ასე ხშირად ხსენება მშვიდობიანობისა, ასეხშირად გადაფიცვა შიშისა. ეს ამბავი იმით თუ აიხსნება, რომ ფაფისაგან შეშინებული დოს უბერავდაო.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბლადოჩინი მღვდელი მ. სიმონ ლიაძე, რომელიც იყო განწესებული გორის მაზრის სოფ. კარბში, მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პალადის გადაუყვანია ერევანში მეორე მღვდლად.

*** სემინარიის რექტორს, არხიმანდრიტს მამა ნიკოლოზს, გამოურჩევია 40 უფრო ღარიბი გარედამ-მოსიარულე შეგირდი სემინარიისა და მიუცია მათთვის ბინა და სასმელ-საჭმელი სემინარიაში ამ ორის კვირით, ვიდრე ჩამოვიდოდნენ ისინი, ვინც ამ ბედნიერს დღეებში სოფლად წასულან.

*** მთავრობის განკარგულებით, ზოგიერთ სოფლის მასწავლებლები მოუწვევიათ ტფილისში ამ ბედნიერ დღეების განმავლობაში, რათა აუხსნან ტფილისის სააბრეშუმო სადგურში ზოგიერთი საჭირო გარემოება აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობისა.

*** წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ აქსტაფის სადგურზე შეუგროვებიათ ათი მანათი და გაუგზავნიათ სკოლისათვის.

*** ოპერები უკვე დაიწყო ხელმეორედ ჩვენს ტფილისში მას შემდეგ, რაც საოპერო დასი დაბრუნდა ბაქოდამ საშობაოდ და თან მოიტანა თითქმის 17,000 მან. გუშინ-წინ „ოტელლო“ წარმოადგინეს. ვანდერიკმა გამოაცხადა, რომ უქეიფოდ ვარ და ესთხოვ საზოგადოებას, სახეში იქონიოს ეს გარემოებაო. დღეს დანიშნულია ოპერა „ევგენი ონეგინი“, კვირას «გუგენოტები».

*** 20 იანვარს ჩვეულებრივი კონცერტი იქმნება გამართული „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. ეს კონცერტი დეკემბერში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან ზარუდნაიას ქალი, რომელიც მუდამ ამ კონცერტებში დიდს მონაწილეობას იღებს ხოლმე, ბაქოში იყო, ამიტომ ზემოხსენებული კონცერტი 20 იანვრისათვის არის დანიშნული.

*** **ქართლი**: მოდური ავადმყოფობა, „ინფლუენციად“ წოდებული, მთელს ქართლს მოედო. გაზეთები ამბობდნენ, ადვილი სახდელია, ხალხი არ გაუფრთხილდა და ამიტომ ბევრს ფილტვების ანთებად გადაექცა და ბევრს კიდევ ციებად. ფილტვების ანთებამ რამდენიმე კაცი იმსხვერპლა. სოფლად კიდევ ისე არა მძვინვარებდა ეს სენი, როგორც ქალაქ ადგილებში, მაგალითად გორში, სახლი არ გადარჩა, რომ ორი-სამი არა ყოფილიყოს ავად.

*** **იქიდამვე**: ჩვენსკენაც დაიწყო ზამთარი; მაგრამ შარშანდელისთანაკი არა, შარშან ამ დროს ძალიან დიდი თოვლი იდო, წელს-კი ორის გოჯის სიღრმეზედაც ძლივს დაჰფარა დედამიწა. რამდენიმე დღე დიდი ყინვები დაიჭირა, ასე რომ ხევსა და ვაზს ჭირხლსა ჰკიდებდა. შარშანდელის ზამთრისაგან შეშინებულმა მამულის პატრონებმა დარდისაგან აღარ იციან რა ჰქნან. საფიქრებელიც არის; თუ მომავალმა წელმაც უღალატა მემამულეებს, ძალიან დაზარალდებიან.

*** **გორი**: გორში განზრახვა აქვთ, რომ ამ მომავალს იანვარში წარმოდგენა გამართონ წინამძღვრიანთ კარის სკოლისათვის. ეს ისეთი სასწავლებელია, რომ ყველა თანაგრძნობას აღმოუჩენს, განურჩევლად წოდებისა და ხალხოსნობისა. იმედი გვაქვს, რომ ყველანი თითო-ოროლა მანეთით შეეწევიან გადამწვარის სკოლისათვის, რომელიც ერთმა კაცმა მხოლოდ თავისის შრომით, ოფლითა და ფულით გამართა თავისს მამულში და რომელიც ისე კარგად არის დაყენებული.

*** **იქიდამვე**: აგერ ერთი თთვეა, რაც ურმებზე ბაჟის აღება დაიწყეს ქალაქის სასარგებლოდ. ეგონათ ურმებით შემოტანილი სავაჭრო შეშა, თივა, ბზე, ხორბლეულობა და სხვანი, ბაჟის შემოღების გამო, ფასში აიწევსო, მაგრამ წრევანდელისთანა იაფობა კარგა ხანია აღარა ყოფილა. ურემზედ იღებენ ორს შაურს, სხვილფეხ საქონელზედ, გასასყიდად შემოყვანილზედ, შაურს, წვრილ-ფეხზედ სამ კაპიკს, ფურგუნებსა და დროგებზედ—ერთს აბაზს. როგორც ამბობენ, დღეში თუმან ნახევრამდე შემოდის ფულიო. შემოდგომაზე და ზამთარში, ვგონებთ, უფრო მეტი უნდა შემოვიდეს. აქ ძალიან ყურის გდება უნდა, თორემ ბაჟის ამკრეფნი ბევრს ბოროტ მოქმედებას ჩაიდენენ.

*** **ფოთი**: წრეულს ფოთის კლუბში ირიცხებოდა თითქმის ოთხმოცდა ხუთი წევრი, რომელთა შორის უცხო მოსული ხალხი უფრო ბევრია, ვიდრე ქართველობა.

*** **იქიდამვე**: ამ ქამად სიკვდილი გახშირდა, კვირაში ოთხი-ხუთი კვდება და სიკვდილის მიზეზს ასახელებენ იმ ავადმყოფობას, რომელსაც ინფლუენციას ეძახიან. სხვათა შორის ამ სენმა ერთი ექიმიც, სახელდობრ, კიკიანი იმსხვერპლა, რომელიც ერთი კვირაა უკვე რაც დაასაფლავეს.

*** **ფოთი**: შობის დღესასწაულებმა აქ მშვიდობიანად გაიარა. ხორაგეულობა არ იყო ძვირი ძლიერ, ისე რომ კარგს ყვერულს, რომელიც დიდის გოდრებით მოიტანეს დაკლულები გურიიდგან, იყიდდით თითოს ორ აბაზად, ათ შაურად. ღვინო, გურიიდგან მოტანილი, ხომ ამ დღისთვის ძლიერ გაიაფდა და ყველა საწყალს და ღარიბს ხალხს შეეძლო ყიდვა. სუყველაფერი ეს, რასაკვირველია, სასწორზედ იყიდება და ჩვენ მხოლოდ ეს შევნიშნეთ აქ, რომ ზოგ-ზოგი ვაჭარი ხალხი გამოსულიყო და ნარდად ყიდულობდა დახოცილს ყვერულებსა და ქათმებს. რომ იმათ ხელი არ შეეშალათ, დარწმუნებული ვარ, ღარიბი ხალხი უფრო იაფად იყიდდა და გამყიდველიც სრულიად არაფერს იზარალებდა, რადგანაც როდესაც ის ერთბაშად ჰყიდის, მაშინ, რასაკვირველია, უკლებს ფასსა და მყიდველსაც სიხარულით მიაქვს. მერე ეს ბატონები გამოდიან და ერთი-ორად ჰყიდიან. მცირე ყინვების შემდეგ, ფოთში ისევ დათბა და წვიმები დაიწყო. ფოთში ამ ქამად ბევრი ფორთოხალი მოდის და ასი ორ მანეთად იყიდება. ლიმონიც არ არის წრეულს ძვირი, ასე რომ, თუ ასობით იყიდით, ეღირება სამი მანეთი. ლიმონიცა და ფორთოხალიც არ არის ურიგო და კარგი მოსულია.

*** **ზუგდიდი**: შობის მეორე დღეს ზუგდიდში ცეცხლი გაჩნდა და რამდენიმე დუქანი გადაიწვა.

*** ქუთაისიდამ სწერენ გაზ. „Нов. Обоз.“-ეს, რომ აქ გაჰქურდეს მთავარ-ანგელოზის ეკკლესია და ქურდებმა გაიტანეს 180 მანეთიო.

*** სპარსეთში ხოლერა ძლიერ გავრცელებულაო. ამბობენ, ხალხი თავ-ზარ დაცემულია შიშით და შუაგულ სპარსეთიდამ, საცა უფრო მძვინვარებს ხოლერა, ჩრდილოეთისკენ იხიზნება, ამიერ - კავკასიისაკენაო (?) („Нов. Время“).

## ქართული თეატრი

გუშინ-წინ, 28 დეკემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი ნათარგმნი კომედია „ალიაქოთი კეთილშობილს ოჯახში“ და ერთ-მოქმედებიანივე კომედია თ. რაფ. ერისთავისა: «ბიძიასთან გამოხუმრება». ქართულს დასს ამ დღისათვის წარმოსადგენად დანიშნული ჰქონდა ორ-მოქმედებიანი კომედია: „რომ იცოდე ჩემის გულის დარდები“, მაგრამ გადასდო რიგიანად მოუმზადებლობის გამო, და ძალიან კარგაცა ჰქმნა, რადგან ცუდად წარმოდგენას სულ წარმოუდგენლობა სჯობია. სამაგიეროდ რამდენი ისიამოვნა გუშინ-წინ თეატრში ბლომად თავმოყრილმა საზოგადოებამ რიგიანისა და ხელოვნურის თამაშობით!

„ალიაქოთი კეთილშობილს ოჯახში“ ამას წინადაც წარმოადგინა ქარ-

---

განაცვიფრებს მკითხველს. მერე რა გვარი კაცის-კვლა და რა ნაირი ცარცვა გლეჯა გნებავთ, რომ ჩვენში არ მომხდარიყოს. ჰკლავენ კაცს და თავს იმართლებენ, „ვერ ვიცანითო“. თავს ესხმიან კაცს, სცარცვავენ, მიაქვთ, რაც ხელში მოხვდებათ, და ბოლოს დააფიცებენ გაცარცულსა და გაქურდულს: ეს ამბავი არამც და არამც არსად გაამჟღავნოვო. „საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი“ და უფრო საკვირველ არს ყოფა ჩვენი, რამეთუ გარემოცულა თავი ჩვენი ესე ვითართა შფოთთა და ვაგლახთა მიერ.

რაღა ბევრი გელაპარაკოთ წრევანდელ ჩვენ მოუსვენრობის გამო, როცა თვით მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ ჰნახა რა, რომ თავიდამ ბოლომდის არეულნი ვიყავით, ვერ შესაძლოთ ჰპოვა დაწყებულის რევიზიის განგრძობა და დამთავრება. მეტი რაღა გინდათ! სირცხვილად და თავის მოჭრად ხომ ესეც კმარა, რომ სჯულისა და სარწმუნოების წარმომადგენელი უშიშრად ვერ დადიოდა ქრისტიანთა მიერ დასახლებულს ქვეყანაში!

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ადგილობრივმა მთავრობამ, თუმცა დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო ჩვენს ქვეყანას, დიდი ბრძოლა და შულლი გაუწია ჩვენს უთავბოლობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ცდა არ დაგვირგვინდა ისე, როგორც სასურველი და სანატრელი იყო. რა არ სინჯეს ჩვენს მოსარჯულებლად! რა ღონე არ იღონეს, რომ ჩვენსავე ქერქში დავმდგარიყავით! ჯარის ჩაყენება, რომლის ყოვლად შემძლებლობას მარტო სულელები თუ უარ-ჰყოფდნენ! „Стражъ“-ის დაარსება, რომელიც, გვეგონა, უებარ მალამოდ დაედება ჩვენს ზნეობრივს წყლულს და ქონებრივს იარასაო! მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა და საზარალოდ ჩვენის ჯიბისა, ვერც ჯარის ჩაყენებამ დაგვიმტკიცა თავის ყოვლად შემძლებლობა, ვერც „стража“-მ ისახელა თავი თავის უებრობით, და არა თუ არგო რამე ჩვენს წყლულს, არამედ დაუწყლულებელი, მთელი ადგილები თუ სადმე მოგვეპოვებოდა, ისიც დაგვიწყლულა. ხოლო რადგანაც ამაებზე საკმაოდ თქმულა და დაწერილა, ამიტომ დიდად აღარ შეგაწყენთ თავს. უკვე მოგეხსენებათ, რა ნაყოფი გამოიღო ჩვენთვის ჯარის ჩაყენებამ და რა გვარად აასრულა „стража“-მ ერთის მხრით ნდობა მთავრობისა და მეორეს მხრით იმედი ჩვენი.

ასე იყო თუ ისე, დღესაც იმავე უიმედობასა და სასო-წარკვეთილებაში ვართ, როგორც კვლავ. დღესაც საშიშია ჩვენი მდგომარეობა, რადგანაც ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ქონება არ არის უზრუნველ-ყოფილი. რას უნდა მიეწეროს ეს გარემოება? აი რასა: თუმცა ისინი, ვინც მხოლოდ იმიტომ არიან მოწვეულნი, რომ უზრუნველ ჰყონ ჩვენი სიცოცხლე და ქონება, მეტად უნარიანნი გამოდგნენ, დიდი მუყაითობა და გულ-შემატკივრობა გამოიჩინეს, საოცარი შორსმჭვრეტელობა ეტყობათ და დაუჯერებელი თავ-განწირულება მიუმადლებია მათთვის ზენას, მაგრამ რას გააწყობენ, როცა იმათს უნარიანობას ჩვენი არარაობა (ასე ამბობენ ისინი) ელობება წინ; როცა იმათს მუყაითობასა და გულ-შემატკივრობას ჩვენი მცონარეობა და ბედასლობა უშლის ხელს (ისინი ამტკიცებენ ამასაც); როცა მათს შორს მჭვრეტელობას (რითაც ისინი თავს იმართლებენ) ჩვენს სიბნელესთან დაჭკუა-მოკლეობასთან, ვერაფერი გაუწყვია და, დასასრულ, როცა, ვამბობ მათისავე სიტყვებით, მათის თავგანწირულებისათვის ჩვენს ლაჩრობასა და ქარაფშუტობას მოუხვევია „ჯაყი და ბურუსი“.

თუმცა, ოგეცათ სიცოცხლე, ამისთანა თავს მართლებას ალაგმავს ის, რომ „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი ონიერსაო“, მაგრამ, საუბედუროდ, ამასაც რომ პასუხი მიეწყობა, და ის პასუხი ის იქნება, რომ მეტყვიან: შენ ვიღაც ტუტუცი ხარ, ამ მარგალიტს სიტყვებს რომ ასე ალაგად და ალაგოდ ხმარობ, „ჰალაჰალა“ ხომ არ არისო? რატომ არ იცი და ეს გაგიგია, რომ რუსთაველმა სთქვა «გონებანი გონიერსაო», თორემ... სხვებმა რაც უნდა ისა სთქვან, მე კი ასეთს ბრალს (სულს ვერ წავიწყმენდ) სრულიად ვერ შევწამებ იმათ, ვინც ჩვენს საკეთილდღეოდ ჰზრუნავენ ნიადაგ. სხვებს მე რას დავსდევ, როცა ძლიერ კარგად ვიცი და კიდეც მჯერა, რომ ყველაფერში ჩვენა ვართ მტყუანი და ბრალიანი, რადგანაც „у сильнаго всегда безсильный виноватъ“. ვიცი, რომ ყოველივე სიავე ამ გვარმა „виноватъ“-ობამ მოგვივლინა და კიდევ უარესი იმან დაგვემართა, რომ ვერ მოგვიხერხებია (გაუტეხელი ხალხი ვართ) ამ „виноватъ“ობაში თავი დავდოთ და ცისა და ქვეყნის წინაშე ვაღიაროთ ყოველივე ესე სინანულითა და აღსარებით.

ხოლო რადგანაც მკითხველთა იჭვიანობას ამ შემთხვევაშიაც ვერას ვუშველი, თუ თქმული უტყუარის საბუთით არ დავუმტკიცე, ამიტომ იძულებული ვარ ერთის აქაურის პატივცემულის ბრძენის აზრი მოგახსენოთ და დარწმუნდებით, რომ ჩვენ ყველა ერთობილად „виноватъ“-ები ვართ ჩვენის მაზრის არევ-დარევაში. ბრძენს ეკითხებიან:

— რატომ დაგემართა შენისთანა მარჯვე კაცს, რომ ამ შფოთსა და დაიდარაბას ვერაფერი უშველე, ვერაფერი წამალი მოუპოვეო?

— სიკეთე გაქვთ, მე რომ დამიჯერებდნენ, ადვილად დავაწყნარო ეგ მაშფოთარი მაზრა.

— ოღონდ უტყუარი საშუალება რამ მოიგონეთ და როგორ არ დაგიჯერებენ, მიზეზი რა იქნება? მაგრამ ჯერ გაგვიცხადე, რა ისეთი წამალი იცი, რომ ეს მოუგვარებელი საქმე მოაგვარო?

— წამალიც უებარია და საშუალებაც უტყუარი. ეს გურულები ერთს მშვენიერს დღეს სულ ერთიან უნდა სადმე შორს გადაჰქაჯოთ და შემდეგ ჰნახავთ, თუ ოზურგეთის მაზრაში ნიავმან დაჰბეროს ურიგოდ. ოღონდ ყველანი-კი უნდა გადაასახლოთ.

ხომ ჰხედავთ, რომ მე სიმართლე მითქვამს ზევით, როცა ვამბობდი, ყველანი დანაშაულნი ვართ-მეთქი. საყოველთაო დანაშაულობასთან რა გააწყოს ჩვენის კეთილის-მყოფელთა შორს-მხედველობამ და გონიერებამ, თუნდაც ეს გონიერება, ეგ შორსმხედველობა ისეთი მახვილი და ადვილი იყოს, რომლის ნიმუში ზემოდ მოვიხსენიეთ. მაგრამ რას გააწყობ, როცა ჩვენში დანაშაულში თავს არავინა სდებს, და არა თუ დანაშაულში არა სდებენ თავს, პირ-იქით, თავიანთი დანაშაულობაც სხვას უნდათ მოახვიონ კისერზე და ჩვენს კეთილის-მყოფელთ ათას ნაირი ცილა შესწამონ და ბრალი დააბრალონ. რას იზამ და რას იტყვი? თვით საქმეზე რა უნდა მოგახსენოთ, სათქმელი-კი ესღა გვაქვს: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის“.

(შემდეგი იქნება)

თულმა დასმა და ჩვენ უკვე გარჩეული გვქონდა კიდეც ჩვენს გაზეთში. ეხლა მაგდენს არაფერს ვიტყვით, მით უმეტეს, რომ ყველა როლს თითქმის ისევ ძველი არტისტებივე თამაშობდნენ, თუმცა ამ ხანად პიესამ საერთოდ გაცილებით უკეთ ჩაიარა. მხოლოდ მოხუც გენერლის როლში, რომელიც წინად ყიფიანმა შეასრულა, ეხლა გუნია გამოვიდა. გუნია თავისს როლში არ იყო და ამიტომ, არც საკვირველია, თუ უნაკლულოდ ვერ ითამაშა, თუმცა-კი თავისი როლი არ წაუხდენია. ამას გარდა ჩვენმა არტისტებმა კარგი იქნებოდა, რომ თავისს სალაპარაკოს გულ დადებით ჩაუკვირდნენ და დაუფიქრებლად არ ისროდნენ ხოლმე სცენაზედ სიტყვებს. ამ დაუფიქრებლობის წყალობით თითო-ოროლა სიტყვას ისე დაამახინჯებენ ხოლმე გამოთქმის დროს, რომ არც ქართული გამოდის და არც სხვაგნური. ასე დამახინჯებით სალაპარაკოს თქმა გუშინ-წინ ბ-ნს გუნიას მოუვიდა ორიოდეჯერ და აგრეთვე სხვა იმასთან მოთამაშე არტისტებსაც.

კომედიის შემდეგ ალნიაშვილის ხორომ რამდენიმე საგალობელი სთქვა და საზოგადოებამ რამდენჯერმე გაამეორებინა კიდეც. მერე წარმოდგენილ იქმნა ერთ-მოქმედებიანი კომედია თ. რ. ერისთავისა „ბიძიასთან გამოხუმრება". ეს კომედია მეტად სასცენოა, კარგა ხანია რაც ჩვენს სცენაზედ იდგმევა და საზოგადოებაც ყოველთვის დიდის სიამოვნებით ისმენს ხოლმე. ამ კომედიაში საოცარი როლი აქვს ქ-ნს საფაროვისას, ისეთი მრავალ-ხასიათიანი როლი, სადაც ჩვენს ნიჭიერს არტისტ-ქალს სავსებით შეუძლიან დაანახვოს საზოგადოებას თავისი ნიჭი. მართლაც-და საკმარისია მარტო ამ როლში ჰნახოს კაცმა ეს არტისტი-ქალი, რომ ნიჭიერის სახელი უწოდოს. კომედიამ ძალიან ცოცხლად ჩაიარა, ბევრი აცინა საზოგადოება და დიდად ასიამოვნა. არა უჭირდა-რა ბ-ნს ცაგარელს იორამ უძლომელაძის როლში, თუმცა პირველი ლექსი ხინჩლას მეტის-მეტმა გადაჭარბებამ როლისამ სულ ერთიანად უმნიშვნელოდ ჩაატარა. როცა იორამი ამ ლექსსა კითხულობდა: „დახე, ჩვენი ქალაქი"..., ხინჩლა მაშინ შპალიერსა ჰსინჯავდა, თვალებს აჭყეტდა ვითომ სახლის ევროპიულად მართულობით გაოცებული, და ამით მეტად იზიდავდა მაყურებლის ყურადღებას. ამ მხრივ არტისტმა ზომას არ უნდა გადააჭარბოს და სხვას სათამაშო არ უნდა წაუხდინოს. საზოგადოდ ორივე პიესამ მშვენიერად ჩაიარა, არტისტები მწყობრად თამაშობდნენ და არც ჩვეულებრივი როლების უცოდინარობა ემჩნეოდათ. თეატრი თითქმის სავსე იყო საზოგადოებით, თუმცა-კი ყველას იმის მოლოდინი ჰქონდა, რომ ბილეთი ძნელად საშოვნელი იქმნებოდა.

მ—ძე

## ქალაქი და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲘ. ერთმა უბედურმა შემთხვევამ კავკაველებს სრულიად დაავიწყა ინფლუენცია, რომელიც კარგა ხანია ყოველ ოჯახში ჰბუდობს, ზოგი მალე რჩება, ზოგს ხელ-მეორედ შეაქცევს და უძნელდება, ზოგს გულის ქლოშინი დაუგდო, ზოგს ჰქლები გულ-მკერდში და სხვ. ფილტვების ანთება ხომ ხშირია და ხშირი. ეს მეორე უბედურება წამოსდგა ტრიხნინითა.

ერთს შემძლებელს ქვრივს ჰყავდა ორი ქალი. ერთი გათხოვილი, ერთი გასათხოვარი. ამ ერთის თთვის წინად ამ ქვრივს უყიდნია ღორი, ღორის უკანა ბარკალი, არ ვიცით მოუხარშავთ, თუ ფეჩში შეუწვავთ, კარგა ლაზათიანად გამაძღარან ამ ღორით, როგორც თითონ, ისე სტუმრებიცა, რომელნიც ამ დღეს შესწრობიან. 12 თუ 15 დღეს გაუვლია და დამხდარან ავად ყველანი, ერთს გარდა. ავადმყოფობასა და ავადმყოფობას შუა დიდი განსხვავება არის. ამათი ცოდვით მნახველი იწოდა. საშინელი ტკივილები, ხელ-ფეხის მოკრუნჩხვა, სიცხე გამოუნელებელი, თითქმის 16—17 დღე, საშინელება არის. ყველაზე ავად მოეკიდა ეს ავადმყოფობა გასათხოვარს ქალსა და თანაც გაიტანა. გუშინ დამარხეს. დანარჩენები ჯერაც კიდევ ავად არიან, ექიმები იმედოვნებენ მორჩენას. რომელიც ყველაზე სუსტი და ულონო იყო, იმან ვერ გაუძლო. ამ ავადმყოფობას რუსის ექიმები ეძახიან ტრიხნინით მოწამვლასა.

ამ ავადმყოფობის შესახებ ჩემმა ნაცნობმა ექიმმა ეს მიამბო: ტრიხნინა არის რაღაც წვრილი მატლი, ისეთი წვრილი, რომელიც შეუჭურვველის თვალით არა სჩანს, უნდა უთუოდ კარგი მიკროსკოპი გაიშინჯოს, ე. ი. ერთი მატლი გაადიდოს 200-ჯერ მაინც, რომ ადამიანის თვალმა დაინახოს. ეს მატლი, როგორც გერმანეთში გაუსინჯავთ თურმე თავდაპირველად, უჩნდება ვირ-თაგვასა (ვირ-თხასა). მომკვდარს ვირ-თაგვას თურმე დიდის სიამოვნებითა სჭამენ ღორები. აქედგან მატლი უჩნდება ღორსა და მრავლდება მთელს სხეულში, სადაც-კი შესაძარღვეი აქვს. ღორის ხორცი, რომელსაც ძარღვებში მოდებული აქვს ხსენებული მატლი ან ტრიხნინა, რომ სჭამოს ადამიანმა, გაუჩნდება ეს საშინელი მატლი. ტრიხნინა მოეკიდება ნაწლევებსა და დაჰყრის იქ მრავლისაგან მრავალს კვერცხს, აქედგან დაიბადება მატლი წვეტ-თავიანი, გაძვრება ნაწლავიდგან და მოსძებნის ძარღვებსა და დაიბუდებს შიგ, გამრავლდება და აქედგან დაიწყობა საშიშარი ტკივილები და ყოველის სახსრის მოკრუნჩხვა. 10 დღე ზოგჯერ საკმარისია ტრიხნინას გაძლიერებისათვისა. ავადმყოფს არ შეუძლია გაინძრას, ისე არის გათანგული. იმ ქალს, რომელიც იმსხვერპლა ამ საშინელმა ავადმყოფობამ სასა გაევსო ტრიხნინით და ჩამოაწვა ყელში ისე, რომ რასაც ასმევდნენ, ცხვირიდგან გადმოდიოდა. როდესაც მოკვდა, ამოსჭრეს პატარა ხორცი და ნახეს მიკროსკოპით, რომ ტრიხნინი ჭიანჭველასავით იროდა. ამასთან წარმოიდგინეთ, რომ სულის დალევამდის ეს ქალი სრულს გონებაზე იყო და ყველას ეთხოვებოდა. ადამიანი ამისთანა წვალებით მოკვდეს და ისიც ღორის ხორცისათვის?

ექიმი ამბობს, რომ ტრიხნინიანი ღორის ხორცი რომ ძალიან მოიხარშოს, ან კარგად შეიწვას, ტრიხნინა დაიხოცება და ვნება არა შეუძლიან-რაო. მაგრამ მთელის ბარძაყის მოხარშვა, ან შეწვა, და ისიც ლორად გამოყვანილისა, ძალიან ძნელია თუ არ დაიჭრა. დაჭრილს-კი შნო აღარა აქვს აღდგომის სუფრაზე მოსატანად. ამ ჟამად ექიმებმა დაადგინეს, რომ თუ ღორის ხორცს ექიმის მოწმობა (იარლიკი) არა აქვს, არავის შეეძლოს გაყიდვაო.

მ. ყიფიანი

## რუსეთი

— იმ კომისიებს, რომელნიც საერო განათლების სამინისტროში იყო შემდგარი და რომელთაც ჰქონდათ მინდობილი განეხილათ თითოეულს გიმნაზიაში სასწავლო საგნის პროგრამა, უკვე გაუთავებია მუშაობა. კომისიებს ის აზრი დაუსკვნიათ, რომ უნდა შემცირდეს პროგრამებიო. მეტადრე ლათინურისა და გერმანულის გრამატიკის პროგრამები უნდა იქმნას შემოკლებული და უმთავრესი ყურადღება მიექცეს თარგმნას კლასიკებისას რუსულად და მათის ნაწერების ახსნასაო.

— ხარკოვში გაამტყუნეს და მერე ისევ გაამართლეს ამ დღეებში ფოსტმეისტერი პონომარევი, რომელსაც დაჰბრალდა მძიმე საქმე — მოპარვა ფოსტის ფულისა. ფულიანის პაკეტების ყუთი გატეხილი თურმე არ იყო, ორი პაკეტი-კი აკლდა. გასაღები ყუთისა პოსტმეისტერს ებარა. დაასკვნეს, რომ პაკეტებიც იმას მოუპარავსო. დამნაშავეს გადუწყვიტეს ციმბირი.

„— ჩემს ცოდვას რად იდებთ, უბრალოს, უდანაშაულოს რად მამტყუნებთ, ბატონებოვო, შეჰღაღადა პონომარევმა სასამართლოს, რომელშიაც ყველა წოდების წარმომადგენელნი ერივნენ მსჯავრის დასადებად.

ვერამ უშველა საცოდავსა და მსჯავრდადებული, ჯავრით-მოკლული, წაიყვანეს ციხეში. მაგრამ პონომარევის ბედმა იმუშავა და ცოდვა მისი არ დაედო კისრად სასამართლოს. მეორე დღესვე გამოჩნდა ქურდი ფოსტალიონი, რომელსაც კარგად გადაეკრა, ენად გაკრეფილიყო და ეთქვა: მე მოვიპარე ის ორი პაკეტი, მე ვარ დამნაშავეო.

ახლად შემოღებულმა სასამართლომ, რომელშიაც წოდების წარმომადგენელნი სხედან სამსჯავროდ წინანდელ ნაფიცთა მსაჯულთა მაგიერად, კინაღამ უბრალო კაცს არ უკრა თავი ციმბირში. პონომარევი გაანთავისუფლეს.

— გაზეთებში ხელ-ახლად ჩამოვარდა ლაპარაკი იმ საგნის გამო, რომელსაც ამ ოცისა და ოც-და-ათის წლის წინად დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ეს საგანია ჯამაგირების დანიშვნაა სამღვდელოებისათვის იმის მაგიერ, რომ მღვდლები პირდაპირ მრევლისაგან იღებდნენ ფასს ყოველის სამღვდელ-მოქმედო წესის შესრულებისათვის. ჯამაგირების დანიშვნა უკეთეს ღონისძიებად არის ცნობილი, რომ უფრო სათნო ურთიერთობა დაარსდეს მრევლსა და სამღვდელოებას შორის. ამ საქმეს მხოლოდ ის უშლის, რომ დიდ-ძალი ფასი მოუნდება ხაზინას ჯამაგირებისათვის. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საკმაოა სოფლის მღვდელს დაენიშნოს ჯამაგირად წელიწადში 480 მან., მთავარს—300 მან. და დიაკვანს—180 მან., ხოლო დეკანოზებს—1000 მან. გამოვა, რომ სულ მთელს რუსეთში დაიხარჯება ჯამაგირებზედ 1418 დეკანოზისათვის—1.418,000 მან., 37,345 მღვდლისთვის—1.6485,000 მან., 6,810 მთავრისთვის—2.043,000 მან., 42.271 დიაკვნისათვის—7.608,780 მან., სულ 27.608,780 მან.

სინოდი დღესაც უკვე ჰხარჯავს ამ საგნისათვის 6 მილიონს წელიწადში. მაშასადამე, ხაზინას მოუნდება კიდევ $21\frac{1}{2}$ მილიონის გაღება ყოველ წლივ, ხოლო ეს ფული, მართალია, დიდი ფულია, მაგრამ არც ისე დიდია, რომ მთავრობამ იმისი ხარჯვა ვერ გაჰბედოს მაშინ, როცა ყოველ წლივ იხარჯება სახელმწიფოში 900 მილიონი.

## უცხოეთი

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. კრიტელების ყოფა ჯერ-ჯერობით ისევე გაჭირებულია, როგორც აქამდე იყო. თანდათან უფრო უარესად მიდის იმათი საქმე. ხონთქარის ფირმანმა-კი არ შეამსუბუქა კრიტელების მდგომარეობა, უფრო გააძნელა და გაამწვავა, რადგან ამ ფირმანით ჩამოერთვათ ზოგიერთი ის უფლებანიც, რომელნიც მანამდე ჰქონდათ. ყველა ამის გამო აღმოსავლეთის კონფედერაციის საბჭომ მიჰმართა გლადსტონს და იმას სთხოვა დახმარება და მფარველობა. აი რა მიუწერია ამ საბჭოს გლადსტონისათვის: „თქვენ მუდამ დამცველნი ყოფილხართ საყოველთაო თავისუფლებისა და განათლებისა. მთელს თქვენს სიცოცხლეში ისე მოქმედობთ, როგორც წმინდა სახარების მოძღვრება გვიბრძანებს სამართლიანობისა და კაცთა შორის თანასწორობის შესახებ. აღმოსავლეთის კონფედერაციის საბჭო, ისურვებს რა თქვენს დღეგრძელობას თქვენის სამშობლოსა და კაცობრიობის საკეთილოდ, თავის მოვალეობად სთვლის გულითადი მადლობა განგიცხადოთ იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც უწევთ დაჩაგრულს ქვეყნებს. ეგ თანაგრძნობა უმეტესად საჭიროა დღეს, როცა უბედური კრიტი სისხლისაგან იცლება ოსმალეთის ბრჭყალებში, როცა ხონთქარის ფირმანი, თვალებს უხვევს რა ევროპას, ართმევს კრიტელებს იმ მცირე უფლებასაც-კი, რაც მიანიჭა ამ კუნძულს ჰალეპის კონვენციამ და ბერლინის ხელ-შეკრულობამ, მაშინ, როცა ქრისტიანე ევროპა სცდილობს გაანათლოს აფრიკისა და პოლინეზიის ნადირნი ტომნი, როცა ამისათვის არა ჰზოგავს არავითარს ამაგს, ღონესა და შეძლებას, რათა ბოლო მოუღოს იქ ულვთო მონობასა და მონების სყიდვა-გასყიდვას, თვით თავის საზღვართა შორის ითმენს მონობას ქრისტიანე ერისას, რომელიც მოსლემინთა უღელ ქვეშ იტანჯება. ვაი რომ პირ-იქით სცდილობს ხელი შეუწყოს კიდეც ამ ბარბაროსულს ბატონობას. ღმერთმა ინებოს, რომ თქვენი ძლიერი ხმა არა მარტო ნუგეშად მოევლინოს ამ უბედურ დატანჯულთ, არამედ ღონედაც გადიქცეს მათის განთავისუფლებისა".

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. დიდი ალიაქოთი ასტეხა იმ ამბავმა, რომ ირლანდიელმა კაპიტანმა ო'შიმ დააბრალა პარნელს, ირლანდიელ დეპუტატების მეთაურს, ჩემს ცოლს ჰყვარობდა და ამიტომ სასამართლოში უნდა ვიჩივლო და გავეყარო ცოლსაო. ამბობენ, რომ კაპიტანი ო'ში, რომელიც წინად პარნელის მეგობარი ყოფილა, გაზეთ „Times"-ის მოსყიდულია, იმ გაზეთისა, რომელსაც აგერ ამოდენა ხანია პარნელთან დავიდარაბა აქვს. პარნელს უთქვამს, რომ სამი წელიწადია კაპიტანი ო'ში მაგ ჩივილს გპირობს და მაგით მემუქრება სახელის გატეხასაო. ეგ საქმე «Times»-ის სასარგებლოდ დაიწყო ო'შიმაო. ო'შის ცოლის სახლში მე ვცხოვრობდი თვით ო'შის სურვილით 1880 წლიდამ 1886 წლამდეო.

— ინგლისის მთავრობას უთხოვნია თავის სტამბოლელ ელჩისათვის, სერ უილიამ უაიტისათვის, რომ აართვი პირი ყველა საბუთებს მუსაბეის საქმის გარჩევისას სასამართლოში და გამოგვიგზავნეო. სალისბერის სამინისტროს უნდა დაწვრილებით შეიტყოს ამბავი მაგ საქმისა, რომელიც შუქს აყენებს ოსმალეთის სომხეთის ყოფა-ცხოვრებასაო.

— სერ უილიამ უაიტს ლაპარაკი ჰქონია ოსმალეთის დიდს ვეზირთან სომხეთის საქმეების შესახებ.

— ინგლისის თოფხანებში გაცხარებული მუშაობაა ამ ჟამადაო.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ. მალე დაიწყება მოლაპარაკება ჩეხელებსა და ავსტრიის გერმანელებს შორის მორიგების თაობაზე. სტარო-ჩეხები ამბობენ, რომ ჩვენ კი გვინდა მორიგება, მაგრამ რასაც ჩვენ გადავწყვეტთ, ის სეიმისთვის სავალდებულო ვერ შეიქმნებაო. მეორეც, მორიგებას არ უნდა მოჰყვეს ჩეხელების რომელისამე უფლების გაუქმება, ანუ შეზღუდვა, თორემ ჩვენ ტააფეს კაბინეტს ვეღარ მივცემთ მხარს რეიხსრატშიო. თუ ტააფემ მაინცა და მაინც აიხირა ასეთი საქმე, მაშ მისივე ბრალი იქნება, რომ უმრავლესობა პარლამენტისა დაირღვეს და თითონვე დარჩეს მშრალზედაო. მლადო-ჩეხები ხომ სულ დორბლებსა ჰყრიან: ეს იყო რაღა ბოლო ტააფეს ათის წლის ლაქუცისა ავსტრიისა, სხვა-და-სხვა ტომთა და სხვათა შორის ჩეხელებისაცა, რომ ბოლოს ჩვენის ხარჯით გერმანელებივე გაძლიერდნენ ჩეხიაშიო! კარგი ის არის, რომ ჩეხელების საქმე ახლა ტააფეს წყალობით და სტარო-ჩეხების გამო გერმანელების საქმედ გადაიქცაო და ამ საქმეს განიხილავენ ტააფეს მფარველობით სტარო-ჩეხები და ისტორიული არისტოკრატებიო. ამ არისტოკრატების წარმომადგენლებად სამი კაცია მოწოდებული კონფერენციაში, მაშინ-როდესაც მათი გვარების რიცხვი 240-ა. სტარო-ჩეხების წარმომადგენლადაც სამი კაცია, მლადო-ჩეხების წარმომადგენელი კი, ესე იგი, ჩეხიის ერის დიდის უმრავლესობის წარმომადგენელი არც ერთი არ არის მოწოდებული.

## წვრილი ამბები

გლადსტონს ამას წინად შეუსრულდა ოთხმოცი წელიწადი. ამ შესანიშნავს სახელმწიფო კაცს ათასობით მისალოცი დეპეშა მიუვიდა თურმე. ამის შესახებ საზღვარ-გარეთის გაზეთები შემდეგს საყურადღებო ცნობებს გვაუწყებენ გლადსტონის შინაურ ცხოვრებისას. გამოჩენილს მოხუცს სამი შვილი ჰყავს — ორი ვაჟი და ერთიც ქალი. უფროსი ვაჟიშვილი პასტორია, მეორე — ინდოელი სოვდაგარი. გლადსტონის ქალიშვილი პროტესტანტთა პასტორსა ჰყავს ცოლად, ეს ქალი ცნობილია მწერლად

და ფილოსოფიისა და სოციალურ ეკონომიის შესახებ სწერს ხოლმე. გლადსტონის მეუღლე ქმარზედ ათის წლით პატარაა, 50 წელიწადია იმის მდივნად ითვლება, ქმართან მიწერილს წერილებსა ჰკითხულობს, თითონვე სწერს პასუხს და აგრეთვე სალიტერატურო შრომაშიაც ჰშველის ქმარს. გლადსტონსაო, სწერს ერთი გაზეთი: ბრძოლის ველზედ არ გაუთქვამს სახელი, ახალი მთავრობა არ დაუარსებია, მაგრამ დიდებული აზრი-კი ბლომად დაუთესნია, გაუნათლებია თავისი ქვეყანა, და მშვიდობიანობისათვის უშრომნია. იგი ლოგიკისა და გონების კაცია. ისტორია, რასაკვირველია, იმის სამსახურს არ დაივიწყებს, მით უმეტეს, რომ ის სამსახური დიდთა მთავარ-სარდალთა და დინასტიის დამფუძნებელთა სამსახურს არ ჩამოუვარდებაო.

— განსვენებული იმპერატორი გერმანიისა ვილჰელმ I-ლი მალიან ხელ-მომჭერილი კაცი იყო თურმე. კამერდინერმა შენიშნა ერთხელ იმპერატორს, რომ დროა ახალი ტანისამოსი შეიკეროთო. იმპერატორმა თვალი გადაავლო თურმე თავისს ტანისამოსს და იკითხა: „ძველმულების მყიდველი თერძი რას მომცემდაო?“ — სამს ტალერსაო, უპასუხა მოსამსახურემ. იმპერატორმა იცოდა, რომ იმის ძველი ტანისამოსი კამერდინერს რჩებოდა ხოლმე, მისცა სამი ტალერი და სთქვა: «ეხლა-კი მგონი ნება მაქვს იმდენს ხანს ვატარო ეს ტანისამოსი, რამდენს ხანსაც მინდაო.

— ახირებული ძილი სცოდნიათ ამერიკელებს. აი ერთი ამისი მაგალითი: სამხრეთ კალიფორნიის მთიანს ადგილებში სცხოვრობდა თურმე ძველს, ნახევრად დანგრეულს ქოხში ამერიკელი, გვარად ტომი, რომელსაც ერთის ბოლჩის ოდენა ადგილი ჰქონდა იჯარით აღებული. ზაფხულის ერთს ცხარე დღეში ეს ამერიკელი განისვენებდა თურმე და გოლიათურს ძილში იყო. ამასობაში საშინელი ქარი ამოვარდა და ქედზედ წამოსკუპებული ქოხი ცოტა დაიზნიქა, მაგრამ ახლა უფრო ძლიერმა ქარმა წამოუქროლა და ქოხი სამოც ნაბიჯზედ გაასრიალა. ტომმა ფეხიც არ გაანძრია თურმე. სულ ვერც კი გაიგებდა ამ უცნაურ მოგზაურობის ამბავს, რომ ქოხის ნანგრევები ზედ თავზედ არ დასცემოდა მძინარეს. მაშინ-კი ტომმა იკადრა თურმე გამოღვიძება, თვალები მოიფშვნიტა, ლოგინზედ წამოიწია და დაინახა, რომ, თავზედ ჭერი-კი არ ადგა, ცის ქვეშ იყო წამოწოლილი. მეტი ღონე არ იყო, წამოდგა თურმე ფეხზედ და გვირაბში შეიტანა თავისი სარჩო-საბადებელი.

## დეპეშა

9 დეკემბერი

პეტერბურგი. გუშინ საგანგებო მატარებლით წავიდა ბერლინს დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე.

გუშინ «Дворянское собраніе»-ს დარბაზში დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს-ძის, საერო განათლების მინისტრისა და მაღალ-ხარისხოვან კაცთა თანადასწრებით დიდის გამოჩინებით დაიწყო მერვე კრება რუსეთის ბუნების-მეტყველთა და მკურნალთა. პირველად სიტყვა წარმოსთქვა აკადემიკოსმა ბეკეტოვმა. შემდეგ ილაპარაკა აკადემიკოსმა ფამინცინმა. ქალაქის თავმა ლიხაჩოვმა მოიხსენია ღვაწლი პეტერბურგის საქალაქო თვით მმართველობისა პეტერბურგის სასანიტარო ყოფა-მდგომარეობის განკარგებისათვის და სთქვა, რომ საბჭო პეტერბურგისა მზად არის აასრულოს კრების რჩევა, ამისათვის ვსთხოვთ კრებას ინახულოს პეტერბურგის სამკურნალონი, საქალაქო საყასბო და სხვა დაწესებულებანიო. პროფესორმა დოკუჩაევმა მოიხსენია ისტორია კრების გამართვისა და სთქვა, რომ დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ იტვირთა საპატიო თავმჯდომარეობა მერვე კრებისაო. ერთობილმა ტაშმა იგრიალა ამის თქმაზედ. მენდელეევისა და სკლიფასოვსკის ლაპარაკის შემდეგ, დოკუჩაევმა გამოაცხადა, რომ კრებამ თავმჯდომარედ ამოირჩია მენდელეევიო. მენდელეევმა მადლობა გადუხადა კრებას არჩევისათვის და სთქვა, რომ ავადმყოფობის გამო არ შემიძლიან ვიტვირთო ეგ თანამდებობაო. ამის შემდეგ არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ კრებისა ბეკეტოვი და მის ამხანაგებად: პროფესორები სტელეტოვი, სკლიფასოვსკი, სეკრეტრად დოკუჩაევი, დელეგატებად: მორკოვნიკოვი მოსკოვისაგან, შიმკოვი — ხარკოვისაგან, ვლოსსოვსკი — ოდესისაგან, ერმაკოვი — კიევისაგან ლუკიანოვი — ვარშავისაგან, ოტუკენბერგი — ყაზანისაგან; ტომა — დერპტისაგან და გიელტი — ჰელსინგფორსისაგან. 3 იანვარს იქნება კრება გეოგრაფიულის საზოგადოებისა. კრებაში მიიღებენ მონაწილეობას წევრნი ბუნების მეტყველთა კრებისანი.

პროფესორი სამხედრო-სამკურნალო აკადემიისა პაშუტინი დაინიშნა სამკურნალო საბჭოს თავმჯდომარედ.

სატყეო ინსტიტუტის მონაწილენი რომელნიც კენჭ-შახვედრილნი და ჩაწერილნი არიან „ზაპასში“ განთავისუფლებულ იქმნებიან სამხედრო ვარჯიშობისათვის მოწვევისაგან იმ წესით, რა წესითაც ეს დადგენილია საერო განათლების სამინისტროს უმაღლესს სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

ბერლინი. დღეს საღამოს ცხედარი იმპერატრიცისა ავგუსტასი განსვენებულ იქმნა სამეფო სასახლის ეკლესიაში ჩირაღებითა და ზარების რეკით.

მადრიდი. დღეს საგასტას სასწრაფოდ მიუწოდეს სასახლეში მეფის ავადმყოფობის გამო. საგასტა მთელს ღამეს იქ დარჩა.

### პეტერბურგის ბირჟა, 27 დეკემბ.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 40 | „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 147¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 254½ |
| —მეორისა . . . . . | 229 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

## განცხადებანი


გამოვიდა

რუსულად შედგენილი

ქართული სახალხო არაკები და სათამაშონი

და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში და განსაკუთრებით სასტუმრო „პურლეინოში“.

ფასი 60 კაპ.

(3—3)

ეს-ეს არის ეხლა დაიბეჭდა მეორედ გასწორებული და შევსებული გამოცემა მრავალის სურათით.

**საღმრთო ისტორია**

ძველისა და ახალის აღთქმისა

თხზ. მღვ. ლაზარე ტურიევისა.

წიგნი ისყიდება საცენტრალო წიგნის მაღაზიაში, რომელიც ტფილისში იმყოფება. ფასი 40 კაპ. წიგნის გამყიდველთ და სასწავლებლებს დაეთმობათ 20%.

(5—4)




მომზადება და გასყიდვა, ვითარცა ისეთის წამლისა, რომელშიაც მავნებელი ნივთიერება არა არის-რა გარეული, ნება-დართულია პეტროვსკის გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილების მიერ ვაჭრობის საზოგადო საფუძვლით.

ახალი კოლდ-კრემი

**ალდეხიდი**

ქიმიკოსის ვლადიოსი

ვინც ყოველ დღე იხმარებს, იმას კანს ურბილებს, უთეთრებს და ჭმუხვნებს შეუმჩნეველად უხდის სახეზედ.

ალდეხიდში არავითარი ქონისებური ნივთიერება არ არის ნარევი და ამიტომ არასოდეს ფუჭდება, ტანისამოსზედ არავითარს კვალს არა სტოვებს, და ასეთი თვისება-კი არც ერთს სხვა კოლდ-კრემს არა აქვს.

უმთავარესი საწყობი იმყოფება მოსკოვში, სტარო-გოსტინის ქარვასლაში, ბ. კრიმერთან.

(10—5)

ამ დღეებში გამოვიდა და ისყიდება სარქისოვის მაღაზიაში, წერა-კითხვისა და სხვა წიგნის მაღაზიებში

ვრცელი, შევსებული

**საქართველოს კალენდარი**

**1890** წლისა

გამოცემული

ვალერიან გუნიას მიერ

გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანია მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოსი და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა, სწავლა-განათლება, წყარონი საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში—საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში—სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართალის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდების შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ-გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, საქველ-მოქმედო, სამადლო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საქიმო, საოჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ვ—ის წერილი: თავის მოკლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარემოებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოება-აღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაქელის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, შეიცავს შემდეგს წერილებს: ლეინია გადაიჩეხა, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა ესომისა; თვით-მმართველობა გურგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. სოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—მისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოვარაყებულის ყდით ერთი მანათი.

მრავლისა და სხვა-და-სხვა გვარის

**სათამაშოების გამოფენა**

იქნება

საცენტრალო გალანტერეის მაღაზიაში,

რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

იქვე

მრავლად და იაფად ისყიდება

ყოველ გვარი საგალანტერეო და საოჯახო ნივთი, თეთრეული, ხელსახოცი, ქერხე, ფუფეიკა, პერანგის ამხანაგი, ლამპა, ჭურჭლეული, ალბომი და მრავალი სხვა

(10—9)

სამეურნეო გაზეთი

**„მეურნე“**

გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე“ მომავალს 1890 წელს გამოიცემა იმავე პროგრამითა და სივრცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

გაზეთის ფასი:

| თბილისში | | თბილისს გარეთ | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა . . . | 4 მ.— | 1 წლისა . . . | 5 მან. |
| ½ „ . . . | 2 მ.50კ. | ½ „ . . . | 3 მან. |

ცალკე №—15 კაპ.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ და 20 კაპ. პირველ გვერდზედ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება: „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რუეტის ქუჩაზედ, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიჰმართონ თითონ რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію газ. „Мэурнэ“.

გაზეთის გაგზავნის გამო რედაქცია პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს.


Доз. ценз. Тифлисъ 29-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.